



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# ივლისი თვის ბიზნესილვა

---

2025

|                             |    |
|-----------------------------|----|
| ინფლაცია .....              | 3  |
| საბანკო სექტორი .....       | 5  |
| საგარეო სექტორი .....       | 7  |
| სავალუტო ბაზარი .....       | 10 |
| ფულადი ბაზარი .....         | 13 |
| მონეტარული აგრეგატები ..... | 14 |


“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

# ინფლაცია


ივნისში წლიურმა ინფლაციამ 4.0% შეადგინა, ხოლო მაისთან შედარებით ფასები თითქმის იგივე დონეზე შენარჩუნდა. ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით, მეტწილად სურსათის ფასები მოქმედებს, რაც ერთი მხრივ პურის<sup>1</sup> გაძვირებას უკავშირდება. მეორე მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე სასურსათო ნედლეულის ფასები წინა წელთან შედარებით მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცა. ამავდროულად სურსათის ინფლაციას გარკვეულწილად საბაზო ეფექტიც განაპირობებს, რადგანაც გასულ წელს სურსათი ძირითადად დეფლაციური იყო. ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით საწვავის ფასების წლიური გაიფხვრა მოქმედებს, რაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ცნდენციის ასახვაა. აღსანიშნავია, რომ ირან-ისრაელის ომმა ნავთობის ფასები მხოლოდ მცირედით და ხანმოკლედ გაზარდა. ბოლო მონაცემებით ნავთობის ფასი დაუახლოვდა ომამდელ ნიშნულს.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.2% შეადგინა.

თვის ინფლაცია 0.0% (გნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 4.0% (გნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივნისში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში მეტ-ნაკლებად გამოსარჩევი სურსათის ფასების სეზონური ცვლილებებია, მათ შორის კარტოფილის გაიფხვრა, 0.2 პპ-იანი წვლილით თვის ინფლაციაში.

წლიურად, როგორც აღინიშნა, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი გასულ წლის ივნისთან შედარებით 9.9%-ით გაძვირდა (გავლენა ინფლაციაზე 3.1 პპ). აქედან, პურის, ზეთის, კარტოფილისა და იმერული ყველის გაძვირებამ ინფლაცია ჯამში 1.6 პპ-ით გაზარდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფის 9.4%-იანი ინფლაცია, რამაც მთლიან ინფლაციაში 0.8 პპ წვლილი შეიტანა.


საწვავისა და ინტერნეტის გაიფხვრამ ინფლაცია შესაბამისად 0.6 პპ და 0.4 პპ-ით შეამცირა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად და შერეულად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ შესაბამისად 5.2% და 7.2% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის მატება ყველაზე მეტად პურის გაძვირებას უკავშირდება. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ბოლო თვეებში სტაბილურია. ივნისში მომსახურების ინფლაცია 2.3%-ს გაუცოლდა. შერეული ინფლაციის მატება ყველაზე მეტად მზესუმზირის ზეთისა და კარტოფილის გაძვირებას უკავშირდება. იმპორტირებულ პროდუქტებში დიდწილად საწვავის წლიური გაიფხვრის გავლენით 2.0%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა.

<sup>1</sup> 2025 წლის მარტში პურის ფასის ერთჯერადი გაძვირება 2026 წლის მარტამდე საბაზო ეფექტით აისახება ინფლაციაზე.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში




| ინფლაცია ჯგუფების მიხედვით                                               | 2025 წლის წონებები | ივნ25/მაი25 |        | ივნ25/ივნ24 |        |
|--------------------------------------------------------------------------|--------------------|-------------|--------|-------------|--------|
|                                                                          |                    | ინფლაცია    | წვლილი | ინფლაცია    | წვლილი |
| სულ                                                                      | 100.0%             | 0.0%        | 0.0%   | 4.0%        | 4.0%   |
| სურსათი და უალკოჰოლო სასმელები                                           | 34.5%              | -0.4%       | -0.2%  | 10.1%       | 3.4%   |
| სურსათი                                                                  | 31.7%              | -0.5%       | -0.2%  | 9.9%        | 3.1%   |
| პური და პურპროდუქტები                                                    | 6.9%               | 0.5%        | 0.0%   | 9.6%        | 0.7%   |
| ხორცი და ხორცპროდუქტები                                                  | 7.0%               | 0.8%        | 0.1%   | 3.6%        | 0.3%   |
| თევზი                                                                    | 0.5%               | 1.9%        | 0.0%   | 7.9%        | 0.0%   |
| რძე, ყველი და კვერცხი                                                    | 6.1%               | 0.7%        | 0.0%   | 7.1%        | 0.4%   |
| ზეთი და ცხიმი                                                            | 2.9%               | 0.6%        | 0.0%   | 20.6%       | 0.5%   |
| ხილი, ყურძენი                                                            | 1.7%               | 1.2%        | 0.0%   | 2.7%        | 0.1%   |
| ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით           | 3.0%               | -8.4%       | -0.3%  | 26.3%       | 0.7%   |
| შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი              | 2.9%               | -0.9%       | 0.0%   | 8.7%        | 0.2%   |
| კვების სხვა პროდუქტები                                                   | 0.6%               | -1.1%       | 0.0%   | 4.1%        | 0.0%   |
| უალკოჰოლო სასმელები                                                      | 2.8%               | 0.0%        | 0.0%   | 12.1%       | 0.3%   |
| ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო                                          | 6.4%               | 2.2%        | 0.1%   | 4.6%        | 0.3%   |
| ტანსაცმელი და ფეხსაცმელი                                                 | 4.7%               | -1.4%       | -0.1%  | -0.8%       | 0.0%   |
| საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 9.8%               | 0.3%        | 0.0%   | 1.0%        | 0.1%   |
| ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება                | 5.3%               | 0.7%        | 0.0%   | -1.4%       | -0.1%  |
| ჯანმრთელობის დაცვა                                                       | 8.1%               | 0.5%        | 0.0%   | 9.4%        | 0.8%   |
| ტრანსპორტი                                                               | 10.9%              | -0.6%       | -0.1%  | -5.3%       | -0.6%  |
| კავშირგაბმულობა                                                          | 3.2%               | -0.1%       | 0.0%   | -13.0%      | -0.5%  |
| დასვენება, გართობა და კულტურა                                            | 3.8%               | -0.2%       | 0.0%   | -0.5%       | 0.0%   |
| განათლება                                                                | 5.4%               | 0.0%        | 0.0%   | 4.6%        | 0.2%   |
| სასტუმროები, კაფეები და რესტორნები                                       | 3.1%               | 1.3%        | 0.0%   | 6.0%        | 0.2%   |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება                                       | 4.7%               | 0.2%        | 0.0%   | 6.7%        | 0.3%   |
| მოკლევადიანი მოხმარების საქონელი                                         | 60.8%              | 0.0%        | 0.0%   | 5.9%        | 3.6%   |
| საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი                                       | 8.1%               | -1.8%       | -0.1%  | -2.1%       | -0.2%  |
| ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი                                      | 5.2%               | -0.2%       | 0.0%   | -1.0%       | -0.1%  |
| მომსახურება                                                              | 25.9%              | 0.6%        | 0.1%   | 2.3%        | 0.6%   |

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


მაისში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 5.9 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 11.9%-ით) გაიზარდა და 58.9 მლრდ ლარი შეადგინა. თვის ქრილში კი 0.1 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.9 მლრდ ლარით (3.2%-ით) გაიზარდა და 29.0 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ფიზიკური პირის დეპოზიტების მატებამ (345.8 მლნ ლარით) განაპირობა. რაც შეეხება, უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 0.8 მლრდ ლარის კლება დააფიქსირა.

## სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში, დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 5.8%-ს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი თითქმის უცვლელად შენარჩუნდა 7.5%-ზე. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 2.0%-მდე გაიზარდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით გაიზარდა და 11.2% შეადგინა. ასევე, გაიზარდა დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.3 პპ-ით, 3.0%-მდე. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.4 პპ-ით, 1.4%-მდე, შემცირდა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაცია მაისში წინა თვესთან შედარებით 1.2 პპ-ით შემცირდა და 50.8% შეადგინა. მაისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 65.1%-მდე, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 2.4 პპ-ით, 39.8%-მდე, შემცირდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, მაისში, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით, 62.4%-მდე, შემცირდა.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია  
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დამოუკიდებელი დოლარიზაცია  
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 15.1%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.5 პპ-ით შემცირდა, რაც მეტწილად ეროვნული ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპმა 20.5% შეადგინა (რაც წინა თვის შესაბამის მარგვენებელზე 0.4 პპ-ით ნაკლებია) და მთლიანი სესხების ზრდაში 11.2 პპ წვლილი შეიტანა. მაისში დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელება მეტწილად ლარის ბიზნეს სესხებს უკავშირდება. ბიზნეს სესხების წვლილმა მთლიანი სესხების ზრდაში 7.7 პპ შეადგინა.

**სასხაების წლიური ზრდის ტემპი  
(წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხაები მიზნობრიობის მიხედვით  
(წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.8% შეადგინა. უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 9.2%-ს გაუდოლდა, ხოლო ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი უცვლელად 16.1%-ზე შენარჩუნდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე  
გაცემულ სასხაზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



მაისში, იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით გაიზარდა და 13.6% შეადგინა. ხოლო, იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, 0.2 პპ-ით შემცირდა და 13.1% შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 9.4%-მდე გაიზარდა. ხოლო თითქმის უცვლელად, 8.2%-ზე, შენარჩუნდა უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი.


**მაისში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.2 პპ-ით, 42.9%-მდე შემცირდა.** ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.3 პპ-ით, 24.0%-მდე შემცირდა, ხოლო იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია უცვლელად 64.0%-ზე შენარჩუნდა. მაისში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 52.6 მლნ ლარით შემცირდა და 567.7 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 44.3% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## საგარეო სექტორი


მაისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 16.5%-ით გაუმჯობესდა და 762.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 5.1%-ით შემცირდა, 1.3 მლრდ აშშ დოლარამდე, ხოლო ექსპორტი 15.7%-ით გაიზარდა და 580.1 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. აქედან მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კონტრიბუციამ 11.5 პპ შეადგინა. იანვარ-მაისში, იმპორტის ერთჯერადი ფაქტორების გამორიცხვით, საგარეო დეფიციტი 0.6%-ით გაუმჯობესდა. საქონლის იმპორტი წლიურად 4.8%-ით, ადგილობრივი მოხმარების იმპორტი 0.5%-ით, ექსპორტი 14.6%-ით, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 6.1%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

საგარეო ბალანსი ძველების მიხედვით (მაისი 2025)




წყარო: საქსტატი


**იმპორტი** - მაისში საქონლის იმპორტი წლიურ წრეში 5.1%-ით შემცირდა. შემცირება დიდწილად სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლების შედეგია. კერძოდ, სამომხმარებლო საქონლის უარყოფითი წვლილი მთლიანი იმპორტის კლებაში -2.5 პპ იყო, ხოლო საინვესტიციოსი -2.2 პპ. შედარებით მცირე უარყოფითი კონტრიბუცია ჰქონდა შუალედური მოხმარების საქონელს, კერძოდ -0.4 პპ.

სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლებაში წამყვანი წვლილი მსუბუქ ავტომობილებს ჰქონდა (-5.1 პპ). საინვესტიციო საქონლის იმპორტის შემცირებაში კი კომპიუტერულ ტექნიკას (-2.2 პპ). შუალედური მოხმარების საქონელში ზრდა ნავთობპროდუქტების იმპორტში დაფიქსირდა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



**საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)**



წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფის შრილში, მაისის იმპორტის კლებაში ევროკავშირის ქვეყნების წვლილი -0.7 პპ შეადგინა. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფის სასაქონლო შრილში კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილების იმპორტის შემცირება განაპირობებდა, რომელიც ძირითადად გერმანიიდან ხორციელდება. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში 21.7%-დან 16.9%-მდე შემცირდა. საპირისპიროდ, გაიზარდა წამყვანი საქონლის, ნავთობპროდუქტების იმპორტი, რომელიც ძირითადად ბულგარეთიდან და რუმინეთიდან განხორციელდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ნავთობპროდუქტების იმპორტში მცირედით გაიზარდა.


ქვეყნებს შორის იმპორტის კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰონკონგს (კომპიუტერული ტექნიკა), იაპონიას (ავტომობილები), გერმანიასა და აშშ-ს ქონდა. აშშ-დან იმპორტის კლება მსუბუქ ავტომობილებს უკავშირდება. თურქეთიდან გაზრდილია ნახშირბადოვანი ფოლადის ნაწარმის და ნავთობპროდუქტების იმპორტი. ხოლო თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე დანახარჯები შემცირებულია.

რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა ნავთობპროდუქტებისა და ხორბლის და მარცვლეულის იმპორტის ხარჯზე. ასევე გაზრდილია ზოგიერთი საინვესტიციო და შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტი.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 77.3% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების შრილში, მაისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკერძო საშუალებების იმპორტს ეკავა. კვლავ მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს და კომპიუტერულ ტექნიკას (გამომთვლელი მანქანები) კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდათ.

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (მაისი 2025)**



წყარო: საქსტატი


**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



**ექსპორტი** - მაისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 15.7%-ით გაიზარდა და 580.1 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ყველა ჯგუფში, თუმცა ზრდაში წამყვანი სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი იყო. სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიტიური წვლილი მსუბუქი ავტომობილების რექსპორტს ჰქონდა 11.5 პპ. ასევე გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტის, ღვინის და შაქრის შემცველობის დაგაზიანებული წყლების ექსპორტი. შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტში, ყველაზე მეტად ძვირფასი ლითონების მადნების ექსპორტი გაიზარდა, ხოლო სპილენძის მადნების რექსპორტი შემცირებულია. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რექსპორტის კლებას უკავშირდება.




ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (მაისი 2025)



წყარო: საქსტატი

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (მაისი 2025, მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ყირგიზეთს ჰქონდა, რაც ძირითადად მსუბუქი ავტომობილების რექსპორტით იყო განპირობებული. თუმცა საქსპორტო შემოსავლები შემცირებულია თურქეთიდან და სომხეთიდან.

გასული თვეების კლების შემდეგ, გაზრდილია რუსეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლები (წლიურად 34.8%-ით), რაც ძირითადად ლვინის ექსპორტის ზრდით იყო გამოწვეული. ასევე, ზრდის მიმართულებით პოზიციური წვლილი შეიძლება შაქრის შემცველი დაგაზიანებული წყლების ექსპორტმა.

ჩინეთიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდა ძვირფასი ლითონების მაღნებს უკავშირდება. თურქეთიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების შემცირება ძირითადად ფეროშენადნობებისა და ელექტროენერგიის გაყიდვების კლებას უკავშირდება.

ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების უარყოფითმა წვლილმა -0.4 პპ შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ იყო შემცირებული.


მაისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (38.0%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან, ავტომობილების გარდა, გაიზარდა ძვირფასი ლითონებისა მაღნებისა და ლვინის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

**ფულადი გზავნილები** - მაისში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 11.6%-ით, 317.4 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადმორიცხული თანხების მოცულობა - 16.8%-ით, 35.2 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (6.8 პპ) შეიძლება წლიური 16.0%-იანი ზრდით. 25.2%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (კონტრიბუცია 4.2 პპ). რუსეთის უარყოფითი კონტრიბუცია შემცირებას განაგრძობს და მაისში -1.6 პპ გაუტოლდა.


მაისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.1%), აშშ (18.6%) და რუსეთი (13.8%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (16.6%), გერმანიის (8.6%) და საბერძნეთისა (7.9%) მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (მაისი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# საპალუტო ბაზარი


მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.7543-დან 2.7424-მდე (0.4%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 3.0894-დან 3.0976-მდე (0.3%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7334 და 3.0969 შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7492 იყო, მინიმალური კი - 2.7334.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მინიმალური მნიშვნელობა მაქსიმალურთან შედარებით მეტად იყო გადახრილი.


მაისში საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის გაუფასურება როგორც თვის, ისე წლის წრიულში; შესამჩნევად გამყარდა რუსული რუბლი, ასევე გამყარებით ხასიათდებოდა სომხური დრამი, ევრო და ლარი; აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების თვიური ცვლილება დოლართან მიმართებით (მაისი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 6.0%-ით გაუფასურდა, თვის წრიულში კი პრაქტიკულად არ შეცვლილა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად 0.4%-ით, თვის წრიულში კი 0.1%-ით გაუფასურდა.

**ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება.**

სავაჭრო პარტნიორთაგან მაისში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

## ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## საპატრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (მაისი 2025)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## სავალუტო ბაზრის ტენდენციები


მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 5<sup>2</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

### ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპატრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა წლიურად გაზრდილია, ხოლო თვითრად - შემცირებული. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 318.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 13.5 მლნ აშშ დოლარით ნაკლები, წინა წლის მაისთან შედარებით კი - 65.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 13.7%-ით, წლიურად კი 21.5%-ით შემცირდა.

მაისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ<sup>3</sup> გარიგებებით ხდებოდა (98.8%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,425.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 235.5 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 81.2 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 7.2% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 245.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

<sup>2</sup> რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.

<sup>3</sup> სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



\* ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საოტ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**



\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მაისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.**

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაისში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 156.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში 21.7 მლნ აშშ დოლარით) და 1,773.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 79.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 59.6 მლნ აშშ დოლარით) და 1,651.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა.

მაისში სავალუტო ფორვარდ<sup>4</sup> გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციული ბანკებისა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 15.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურ წრილში - 11.5 მლნ აშშ დოლარით) და 40.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებზე, ხოლო მცირე ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 9.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


**ბანკთაშორის საოტ გარიგებებით უცხოური ვალუტა და გაყიდული უცხოური ვალუტა**



\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**




\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 66.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა, რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი 4.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.


<sup>4</sup> სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

მაისში სადებოზიფო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 220.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. მაისში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვანწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 60, 50 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 225.5 მლნ ლარით შემცირდა და 10,226.7 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 72.9%-ს კომერციული ბანკების, 12.4%-ს ეროვნული ბანკის, 13.4%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

**სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. ასევე, სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, ხოლო სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა. კერძოდ, მაისში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.4%-მდე შემცირდა. ასევე შემცირდა ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები, წინა თვესთან შედარებით, თითოეული 0.1 პპ-ით და შესაბამისად, 7.4% და 7.5% შეადგინა. თუმცა გაიზარდა სამწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები 0.4, 0.1 და 0.3 პპ გაიზარდა და შესაბამისად 8.9%, 8.8% და 9.4% შეადგინა.





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 755.6 მლნ ლარით (წლიურად 1,570.8 მლნ ლარით) 18,790.7 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეცნილად ეროვნული ვალუტის რესურსით ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (85.5%), რომლის მოცულობაც თვიურად 100.9 მლნ ლარით (0.6%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 654.8 მლნ ლარით (31.8%-ით).

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.8% შეადგინა. უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 2.2% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მაისში ფულადი ბაზრის რესურსის 27.4% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 71.7% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

#### ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## მონეტარული აბრეგადები


მაისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 447.8 მლნ ლარით (6.1%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7.8 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, 140.1 მლნ ლარით (1.9%-ით) გაიზარდა.

მაისში, სავალუტო აუქციონებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 245.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 98.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 147.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

მაისში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 77.2 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 992.9 მლნ ლარს გაუცოლდა.




**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება  
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 103.2 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხი, წინა თვესთან შედარებით, 1039.0 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 750.0 მლნ ლარით გაიზარდა. მაისში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და იმავე პერიოდში დაიფარა იგივე ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, მაისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 201.5 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7,191.5 მლნ ლარს გაუტოლდა.


მაისში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად მცირედით 5.9 მლნ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 678.2 მლნ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge); [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

